

დამტკიცებულია: 20.04.2018წ. № 14

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ



პრაქტიკის გავლისა და შრომის ანაზღაურების წესი.

მუხლი 1. გამოყენების სფერო.

1. ეს წესი შემუშავებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წესი ადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში – სასწავლო უნივერსიტეტი) პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი პროფესიული/სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის გავლასა და პრაქტიკის ხელმძღვანელის/მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას.
3. წესი ვრცელდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის საშტატო ერთეულებზე.

მუხლი 2. პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი პროფესიული /სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთან/მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

1. პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი პროფესიული /სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთან/მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
2. პროფესიული /სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებელი ობიექტის შერჩევა ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
3. პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკას ახორციელებს პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელის სიტყვიერი/წერილობითი რეკომენდაციის, შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე ამ ობიექტის თანამშრომელი.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

1. შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის საშტატო ერთეულებზე პრაქტიკის ხელმძღვანელის/მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე პრაქტიკის ხელმძღვანელის/მასწავლებლის კვალიფიკაციისა და შესაბამისი სამუშაოს, სტუდენტისა და პროფესიული სტუდენტის რაოდენობისა და ჩატარებული საათების გათვალისწინებით.
3. შრომის ანაზღაურება გაიცემა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

- პრაქტიკის გავლისა და შრომის ანაზღაურების წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.